ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, თსუ-ს წესდების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

თავი I. დოქტორანტურა

მუხლი 2. დოქტორანტურა

2.1. “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2.2. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამა

3.1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:

3.1.1. ფაკულტეტის ერთი ან ერთზე მეტი პროფესორის მიერ;

3.1.2. უნივერსიტეტის სხვა ერთ ან რამდენიმე ფაკულტეტთან, პარტნიორ-უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთობლივად – უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

3.2. სადოქტორო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

3.3. სადოქტორო პროგრამის ამოქმედების აუცილებელი პირობაა მისი მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

3.4. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობენ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ის პროფესორი, რომელსაც სათანადო სპეციალობით გამოქვეყნებული აქვს ერთი ნაშრომი მაინც დადებითი "იმპაქტ-ფაქტორის" მქონე (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) ჟურნალში. სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მოდულის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სათანადო დარგის სხვა სპეციალისტიც.

3.5. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

3.5.1. უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;

3.5.2. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;

3.5.3 სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

3.6. სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება:

3.6.1. იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიერ, მაგრამ ამ მომენტისათვის არსებული სადოქტორო პროგრამებიდან ერთი ან ერთზე მეტი პროგრამის არჩევის პირობით – მიზნობრივი დაფინანსება;
3.6.2. დოქტორანტის მიერ – თვითდაფინანსება;

3.6.3. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით – სახელმწიფო დაფინანსება;

3.6.4. ქველმოქმედების საფუძველზე.

3.6.5. სხვა ისეთი სახის დაფინანსება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

3.7. დოქტორანტი შეიძლება არჩეულ იქნეს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე; დოქტორანტის მოწვევა შესაძლებელია საათობრივი ანაზღაურების წესით ლაბორატორიული, სასემინარო თუ პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად.

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

4.1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

4.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

5.1. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ სექციაზე.

5.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) დასაბუთებული შუამდგომლობა.

5.3. დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

5.4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტობის იმ კანდიდატს, რომლის მშობლიური ენა ქართული არ არის და რომელსაც სურს ქართულენოვანი პროგრამით სწავლა, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

5.5. დოქტორანტურაში ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების წარმოდგენის ვადები განისაზღვრება თსუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

6.1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით დარგობრივი სექციის (მიმართულებათაშორისი დარგის შემთხვევაში - კოლეგიის) შუამდგომლობის საფუძველზე. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) კანდიდატურა(ები) და სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარედგინოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

6.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვნელად შეიძლება დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები, რომელთაგან ერთი ნაშრომი მაინც გამოქვეყნებულია დადებითი ''იმპაქტ ფაქტორის'' (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) მქონე ჟურნალში.

6.3. დოქტორანტის ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას. თუკი დოქტორანტის ხელმძღვანელი არ არის თსუ-ს აკადემიური პერსონალი, მაშინ დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის გადაწყვეტილება წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლა

7.1. დოქტორანტურა მოიცავს არანაკლებ 180 ECTS კრედიტის შესაბამის შემდეგ კომპონენტებს:

7.1.1. სასწავლო კომპონენტი – 40-60 ECTS კრედიტი.

7.1.2. კვლევითი კომპონენტი – 120-140 ECTS კრედიტი.

7.2. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი.

7.3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

7.4. დოქტორანტურაში კრედიტების დაგროვება ხორციელდება თსუ-ის მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

8.1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის წარდგინებით და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება, დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

8.1.1. პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

8.1.2. უნივერსიტეტს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;

8.1.3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. პირადი განცხადების საფუძველზე.

თავი II. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომი

9.1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.

9.2. დისერტაცია შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე სადისერტაციო ნაშრომის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

9.3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატსა და სტილს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგია და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

9.4. დაცვის შემდეგ დისერტაცია უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. გამოქვეყნების ვადებსა და მექანიზმს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 10. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

10.1. სადისერტაციო ნაშრომი საბჭოს გადაეცემა ოთხ აკინძულ და ერთ ელექტრონულ პირად.

10.2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

10.2.1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კრედიტის დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

10.2.2. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი ან დასაბეჭდად მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

10.2.3. სამეცნიერო სემინარებისა და ფორუმების ნუსხა, სადაც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები.

10.2.4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოგონების (თუ ასეთი არსებობს) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

10.3. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვისათვის წარსადგენად.

10.4. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთი მაინც დადებითი „იმპაქტ–ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) მქონეა. ერთი იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთ სადისერტაციო ნაშრომში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება მაშინაც, როცა ის მიღებულია დასაბეჭდად, რაც დასტურდება ჟურნალის რედაქციის მიერ გაცემული ცნობით ან გამოცემის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

11.1. მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასებისათვის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მიერ შეთავაზებული და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სულ მცირე ორი შემფასებელი სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს შესაბამის სექციას.

11.2. მიმართულებათაშორისი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასებისათვის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის მიერ შერჩეული და დამტკიცებული სულ მცირე ორი შემფასებელი სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას.

11.3. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის სპეციალობით (საერთაშორისო კლასიფიკატორით) გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე სამი ნაშრომი რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის ერთი ნაშრომი მაინც დადებითი "იმპაქტ-ფაქტორის" მქონე ჟურნალში. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

11.4. სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას შემფასებლები სადისერტაციო საბჭოს შესაბამის სექციას წარუდგენენ ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

11.5. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

11.6. თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

11.7. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

11.8. დაცვაზე უარის მიღების შემთხვევაში სასწავლო კომპონენტის მოქმედების ვადა არის 10 წელი პირველი კრედიტის მოპოვების დღიდან.

11.9. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია (მიმართულებათაშორისი დარგის შემთხვევაში - კოლეგია) გადასცემს დოქტორანტს შემფასებლების დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს სულ მცირე 1 თვის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად.

11.10. დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დანარჩენი დოკუმენტები უბრუნდება დოქტორანტს.

მუხლი 12. სადისერტაციო კომისია

12.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შესაბამისი დარგობრივი სექციის წარდგინებით, ხოლო მიმართულებათაშორისი დარგის შემთხვევაში კოლეგიის წარდგინებით, სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად ამტკიცებს სადისერტაციო კომისიას.

12.2. სადისერტაციო კომისია იქმნება სულ მცირე ხუთი პირის შემადგენლობით. კომისიის წევრად არჩეულ უნდა იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.

12.3. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სექციის მიერ არჩეული და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.

12.4. მიმართულებათაშორისი დარგის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის მიერ არჩეული და დამტკიცებული სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.

12.5. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

მუხლი 13. დისერტაციის დაცვა

13.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო, ქართულ ენაზე. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და სექციის თავმჯდომარე.

13.2. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

13.2.1. დოქტორანტის მოხსენება (არა უმეტეს 30 წუთისა);

13.2.2. რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;

13.2.3. სამეცნიერო დისკუსია;

13.2.4. კომისიის დახურული სხდომა – სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად;

13.2.5. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

13.3. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

13.4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

14.1. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ სადისერტაციო კომისია დახურულ სხდომაზე აფასებს სადისერტაციო ნაშრომს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- "ფრიადი" – „summa cum laude"
- "ძალიან კარგი" – „magna cum laude";
- "კარგი" – „cum laude";
- "საშუალო" – "bene";
- "დამაკმაყოფილებელი" – "rite";
- "არადამაკმაყოფილებელი" - "insufficienter";
- "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – "sub omni canone";

ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის ხმას.

14.2. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება "არადამაკმაყოფილებელი" ან "სრულიად არადამაკმაყოფილებელი". დადებითიშეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ეკოლოგიის) დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 15. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა

15.1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ეკოლოგიის) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს მოწმობა.

15.2. მოწმობა გაიცემა არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში დისერტაციის დაცვის შემდეგ. მოწმობის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 16. დისერტაციის გამოქვეყნება

16.1. დოქტორანტი მოვალეა დისერტაციის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი არ გაიცემა.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

17.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა ხდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის წარდგინებით და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიური პატიოსნების ნორმების (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი) დარღვევის შემთხვევაში.

თავი III. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

18.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს (მათემატიკაში, კომპიუტერულ მეცნიერებებში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, გეოლოგიაში, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ეკოლოგიის) ანიჭებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 19. სადისერტაციო საბჭო

19.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

19.2. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

19.3. სადისერტაციო საბჭო ქმნის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას, რომელიც უფლებამოსილია სადისერტაციო საბჭოს სახელით მიანიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

19.4. სადისერტაციო საბჭო შედგება 8 დარგობრივი (მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის) სექციისაგან.

19.5. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია შედგება შესაბამისი მიმართულების ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

19.6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

19.7. სადისერტაციო საბჭოს მდივანს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

19.8. დარგობრივი სექციის წევრები ირჩევენ ხელმძღვანელს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით. დარგობრივი სექციის ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ერთი და იგივე პირი ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

19.9. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივანს (სექციის შემადგენლობიდან) ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 20. სადისერტაციო საბჭოს კოლეგია

20.1. სადისერტაციო საბჭოს კოლეგია არის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც დელეგირებულია სადისერტაციო საბჭოს მიერ მიანიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

20.2. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის შემადგენლობაში შედიან სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი, სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელები და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

20.3. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის თავმჯდომარეა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მდივანი - სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 21. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის მუშაობის წესი

21.1. სადისერტაციო საბჭოს კოლეგია თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.

21.2. სადისერტაციო საბჭოს კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3-ით.

21.3. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომას უძღვება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება კოლეგიის ერთ-ერთი წევრი რიგითობის პრინციპით.

21.4. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომას საჭიროებისამებრ იწვევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის თავმჯდომარე, ან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

21.5. სადისერტაციო საბჭოს კოლეგია იკრიბება სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.

21.6. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს (სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის) თავმჯდომარე და მდივანი.

21.7. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

მუხლი 22. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მუშაობის წესი

22.1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის საქმიანობა წარიმართება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების შესაბამისად.

22.2. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3-ით.

22.3. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სექციის ხელმძღვანელი და მდივანი.

22.4. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

მუხლი 23. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის და დარგობრივი სექციის უფლებამოსილება

23.1. სადისერტაციო საბჭოს კოლეგია:

23.1.1. სადისერაციო საბჭოს დელეგირებით ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

23.1.2. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სადისერტაციო საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

23.1.3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე განიხილავს და ამტკიცებს სადოქტორო ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების საკითხს.

23.1.4. განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხელმძღვანელის ცვლილების თაობაზე თუკი დოქტორანტის დამტკიცებული სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე.

23.1.5. განიხილავს და ამტკიცებს მიმართულებათაშორისი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს.

23.1.6. განსაზღვრავს და ამტკიცებს მიმართულებათაშორისი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობასა და დაცვის თარიღს.

23.1.7. ამზადებს წლიურ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად.

23.2. სადისეტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია:

23.2.1. ირჩევს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელს.

23.2.2. განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის თემას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

23.2.3. განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.

23.2.4. განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობასა და დაცვის სავარაუდო თარიღს და წარუდგენს დასამტკიცებლად სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 24. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და დარგობრივი სექციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

24.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

24.1.1. ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს.

24.1.2. ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას.

24.1.3. ამტკიცებს დაცვის თარიღს.

24.1.4. საჭიროების შემთხვევაში იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას.

24.2. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელი:

24.2.1. საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება დარგობრივი სექციის სხდომებს.

24.2.2. საჭიროებისამებრ იწვევს სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას.

24.2.3. სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უძღვება სადისერტაციო საბჭოს კოლეგიას რიგითობის პრინციპით.

მუხლი 25. სადისერტაციო საბჭოსა და დარგობრივი სექციის მდივნის უფლებამოსილება

25.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს (კოლეგიის) ორგანიზაციულ საქმიანობას.

25.2. დარგობრივი სექციის მდივანი უზრუნველყოფს შესაბამისი დარგობრივი სექციის ორგანიზაციულ საქმიანობას.

თავი IV. სადოქტორო პროგრამები სხვა უნივერსიტეტებთან

მუხლი 26. სადოქტორო პროგრამები და ხარისხის მინიჭება

26.1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს სადოქტორო პროგრამა თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით.

26.2. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი ან ორმაგი სადოქტორო ხარისხის მინიჭება.

26.3. დოქტორანტის ხელმძღვანელობის და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, თსუ-ს მინიმალური სტანდარტის მოთხოვნებით და წინამდებარე დებულების 6.2 და 10.4 მუხლების მოთხოვნებით.

26.4. სადოქტორო პროგრამებისათვის, რომლებიც ხორციელდება სხვა უნივერსიტეტებთან ერთად, დაცვის კომისია განისაზღვროს უნივერსიტეტების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით. ამ შემთხვევაში დაცვის კომისია შედგება თითოეული უნივერსიტეტის სულ მცირე ორი წევრისაგან. კომისიის წევრად არჩეულ უნდა იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხარისხი. (*№72/2015, 27.07.2015)*

26.5. სხვა უნივერსიტეტებთან სადოქტორო პროგრამის ხელშეკრულების გაფორმება რეგულირდება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ გავლასთან დაკავშირებული საქმისწარმოების წესისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2015 წლის 18 მარტის №46/01-01 ბრძანებით. დარგობრივი სექციის თავმჯდომარე წარმოადგენს წერილობით დასკვნას სხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ. დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ დარგში პოტენციური პარტნიორი უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევებს. სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ხელშეკრულება ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების პროექტის დაგზავნას პროფილურ სტრუქტურულ ერთეულებში. (*№72/2015, 27.07.2015)*

თავი V. გარდამავალი პერიოდი

27. გარდამავალი დებულებები

27.1. თსუ-ს დოქტორანტურაში ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის საგნები ან/და აქვთ გავლილი აპრობაცია, თავისუფლდებიან მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისგან. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით. გამოქვეყნებული სამი ნაშრომიდან ერთი მაინც გამოქვეყნებული უნდა იყოს ჟურნალში, რომელიც იძებნება ISI Thomson Web of Knowledge ბაზაში.

27.2. თსუ-ს ის ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და არა აქვთ ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.